



**სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და
პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების მე-5 მუხლის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 31 ივლისის #523 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე -სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - მაია გუგუციძე;

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს:

ა) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი ინფორმაციის მომზადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის სააგენტოს ვებგვერდზე www.service.gov.ge-ზე გამოქვეყნება;

გ) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშის წარდგენა/გამოქვეყნება.

3. სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ თანამშრომლებმა, დაუყოვნებლივ ან მაქსიმალურად მცირე ვადაში მიაწოდონ

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, საჯარო ინფორმაციის მომზადებისათვის აუცილებელი, მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის ასლები;

4. სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, სამსახურის უფლებამოსილებათა ფარგლებში უზრუნველყოს გასაცემი საჯარო ინფორმაციის შესაბამისი ასლების დადგენილი წესით დამოწმება;

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილემ დავით ჩქარეულმა;

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2012 წლის 26 დეკემბრის #2722 ბრძანება.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ზურაბ ახალკაციშვილი
გენერალური დირექტორი